

განცხადება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აცხადებს ვაკანსიებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ასარჩევად შემდეგ სპეციალობებში:

სპეციალობა	ვაკანსიათა რაოდენობა
<u>მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება</u>	
ფიზიკა	1
ექსპერიმენტული ფიზიკა	1
<u>გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილება</u>	
სამთო მეცნიერება	1
მანქანათა მექანიკა	1
საგზაო - სატრანსპორტო სისტემები	1
<u>დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება</u>	
გეოგრაფია	1
<u>ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება</u>	
მორფოლოგია (ადამიანის ანატომია, ტოპოგრაფიული ანატომია, ჰისტოლოგია)	1
ფიზიოლოგია, ბიოქიმია	1
<u>სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება</u>	
მცენარეთა დაცვა	1
<u>ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება</u>	
პოპულაციური გენეტიკა	1
პალეობიოლოგია	1
<u>საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება</u>	
პოლიტოლოგია, ფილოსოფია	1
დემოგრაფია	1
<u>ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება</u>	
ენა, ლიტერატურა, კულტურა	1

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, საქართველოში მოღვაწე მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე მეცნიერი, რომელსაც საერთაშორისო დონის წვლილი აქვს შეტანილი მეცნიერების განვითარებაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრობის (აკადემიკოსობის) კანდიდატთა წამოყენების უფლება აქვთ: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებს, სამეცნიერო დაწესებულებებს, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო საზოგადოებებს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსობის კანდიდატთა მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს შემდეგი საბუთები (ორ ეგზემპლარად): სამეცნიერო ან აკადემიური საბჭოს, აკადემიის წევრის (წევრების) წარდგინება სათანადო დასაბუთებით, დამოწმებული წარმდგენის ხელმოწერითა და იმ დაწესებულების ბეჭდით, სადაც იგი მუშაობს, კანდიდატის ავტობიოგრაფია, ფოტო 4x6, სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი, მონაცემები შრომითი და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ (CV), ძირითადი სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი (საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები აღინიშნება ვარსკვლავით), დარგის სპეციალისტის მიერ კანდიდატის სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასება.

კანდიდატის პირადობის მოწმობის ასლი, ცნობა სამუშაო ადგილიდან საქართველოში მისი მოღვაწეობის დასადასტურებლად.

საბუთები რეგისტრაციისა და არჩევნებში მონაწილეობისათვის იგზავნება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში. განცხადებები მიიღება 2018 წლის 26 სექტემბრიდან 22 ოქტომბრის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: თბილისი, რუსთაველის გამზ., 52, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (კადრების სამმართველო, IV სართული, ოთახი 409, ტელ. 2-93-29-86). საბუთები მიიღება ყოველ სამუშაო დღეს 11-დან 17 საათამდე.

აღნიშნული განცხადება და კანდიდატის მონაცემები (CV), განთავსდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვებგვერდზე www.science.org.ge, რისთვისაც წარმოდგენილ უნდა იქნეს CV-ის ელექტრონული ვერსიაც.

შენიშვნა: დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია კადრების სამმართველოში.

*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე*

*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
აკადემიკოს-მდივნის მოვ. შემსრ., აკად. წევრ-კორ.
რამაზ ხუროძე*